ხელშეკრულება N 41

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. ოზურგეთი 8 მაისი 2015 წელი

ერთის მხრივ, **სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაცია ლანჩხუთის, ოზურგეთის, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში**, მისი წარმომადგენლის ***სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებლის ქეთევან მოისწრაფეშვილის*** (შემდგომში –შემსყიდველი) სახით და მეორეს მხრივ, შ.პ.ს. „თეგეტა მოტორსი“, *წარმოდგენილი გენერალური დირექტორის თემურ კოხოძის მინდობილი პირის ფოთის ფილიალის დირექტორის დავით ხურციას* (შემდგომში – მიმწოდებელი) სახით (თანახმად მინდობილობისა №0011, გაც: 05.01.2015 წელს გენერალური დირექტორის მიერ), ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-101 მუხლის 3-ლი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის თანახმად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში _ „ხელშეკრულება“) – შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები;

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3. „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4. „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელიც ახორციელებს მომსახურებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5. „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

1.6 „მომსახურება“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

2. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგანია სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციის ბალანსზე რიცხული 3 სატრანსპორტო საშუალების (Skoda Octavia) შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები (იხ. დანართი N1), CPV კოდი: 50100000

2.2. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.3. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს **1482.25 (ათას ოთხას ოთხმოცდაორი)** ლარს და 25 თეთრს;

2.4. .ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. მიწოდების პირობები და საგარანტიო ვადა

3.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2015 წლის 15 ივნისამდე.

3.2. მიწოდების ადგილია: ქალაქი ფოთი, ლარნაკას ქ. N2

3.3. საგარანტიო ვადა შეადგენს **6 (ექვს) თვეს** (დანართი N2-ის მხედვით);

3.4. საგარანტიო პერიოდში მიმწოდებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ, შემსყიდველის ზედმეტი დანახარჯების გარეშე აღმოფხვრას აღმოჩენილი წუნი/დაზიანება.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ კალუტაში;

4.2. „მიმწოდებელი“ ფაქტიურად გაწეული მომსახურების თაობაზე „შემსყიდველთან“ ადგენს მიღება-ჩაბარების აქტს, რის საფუძველზეც „მიმწოდებელი“ „შემსყიდველს“ წარუდგენს საგადახდო დოკუმენტს საგადახდო კოდექსით დადგენილი წესითა და ვადით;

4.3. „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება ხორციელდება მიმწოდებლის მიერ ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათ) სამუშაო დღეში.

5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

5.1. გაწეული მომსახურება ფორმდება შესრულებული სამუშაოს აქტით, რომელიც დადასტურდება „შემსყიდველისა“ და „მიმწოდებლის“ მიერ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით;

5.2. გაწეული მომსახურება ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ სათანადო დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ (შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტი);

6. სამუშაოთა ხარისხი

6.1. მიმწოდებელი“ იძლევა გარანტიას, რომ ავტომანქანის ჩუნდებული ნაწილები შეიცვლება ახალი ხარისხიანი სათადარიგო ნაწილებით, ხოლო გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს „შემსყიდველის“ მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

6.2. გასაწევი მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს მსგავსი მომსახურებისათვის დადგენილ სტანდარტებს.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1. **„შემსყიდველი“ უფლებამოსილია:**

- შეამოწმოს გაწეული მომსახურების შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;
- რაიმე ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში აცნობოს და მოთხოვოს „მიმწოდებელს“ ნაკლის დაუყოვნებლივ გამოსწორება;
- მოთხოვოს „მიმწოდებელს“ ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

7.2. **„შემსყიდველი“ ვალდებულია:**

- ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისათვის „მიმწოდებელს“ აუნაზღაუროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7.3. **„მიმწოდებელი“ უფლებამოსილია:**

- „შემსყიდველს“ მოსთხოვოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4. **„მიმწოდებელი“ ვალდებულია:**

- მიაწოდოს „შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება დადგენილ ვადებში;
- მომსახურების მიწოდების პროცესში გაითვალისწინოს „შემსყიდველის“ ყველა მოთხოვნები და შენიშვნები, გაუწიოს მომსახურება სრული მოცულობით ნაკისრი ვალდებულებების საბოლოო შესრულებამდე;
- მომსახურების ან მისი ნაწილის, ეტაპის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების სედეგად გამოვლენილი დეფექტი ან ნაკლი აღმოიფხვრას საკუთარი ხარჯებით;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

8.2. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია გასაწევი მომსახურების ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს ჯარიმა „მიმწოდებლის“ ყოველი ვადა გადაცილებული დღეზე შეუსრულებელი მომსახურების ღირებულების 0.2%-ის ოდენობით;

8.3. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია „მიმწოდებლის“ მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შეუსრულებლობის და/ან უხარისხოდ შესრულების შემთხვევაში „შემსრულებელს“ დააკისროს ჯარიმა შეუსრულებელი და/ან უხარისხოდ გაწეული მომსახურებისათვის ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

9.1. „შემსყიდველს“ ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი „მიმწოდებლის“ მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე და განახორციელოს მომსახურების ხარისხის პერიოდული კონტროლი;

9.2. „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს „შემსყიდველის“ კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ „შესმყიდველი“ კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით „შემსყიდველი“;

9.3. „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა;

9.4. ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან;

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა;

10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია;

10.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით;

10.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად;

10.5. მხარეები იღებენ ვალდებულებას შეატყობინონ ერთმანეთს აღნიშნული ხელშეკრულების პირობების ცვლილებათა შესახებ არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1.“შემსყიდველს“ შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ, „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში;

11.2. „შემსყიდველსა“ და „მიმწოდებელს“ შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, „შემსყიდველს“ შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ;

11.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;

11.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

12. ფორს-მაჟორი

12.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი;

12.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა;

12.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13. დავების გადაწყვეტის წესი

13.1. „შემსყიდველმა“ და „მიმწოდებელმა“ ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ;

13.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

14. დამატებითი პირობები

14.1. მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით;

14.2. ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას;

14.3. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

14.4. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;

14.5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება მასზე ხელმოწერის დღიდან 2015 წლის 10 ივლისის ჩათვლით.

მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი”:	„მიმწოდებელი”:
სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაცია ლანჩხუთის, ოზურგეთის, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტებში	შ.პ.ს. „თეგეტა მოტორსი“
მისამართი : ქ. ოზურგეთი, კოსტავას №1	მის: ქ.თბილისი, აღმაშენბელის ხეივანი, მე-12 კმ. №5
სახელმწიფო ხაზინა ანგ: №200122900 კოდი: 220101222 ს/კ: 237079335	საბანკო რეკვიზიტები: „თიბისი ბანკი“ TBCBGE22 ს/კ: 202177205 ანგ: №GE80TB0600000024467583
რწმუნებულის-გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებელი	*გენ. დირექტორის მინდობილი პირი*
ქეთევან მოისწრაფეშვილი	დავით ხურცია

დანართი N1

ფასების ცხრილი

ავტომანქანა SKODA OCTAVIA, სახელმწიფო ნომრით AA 407 CC.
VIN: TMBAD4NEXD0016569

N	სათადარიგო ნაწილის დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ღირებულება სულ
1	ზეთი ძრავის შელი 5W30 HelixUltraExtra 4L	4 ლ	27.70	110.80
2	ზეთი ძრავის შელი 5W30 HelixUltraExtra 1L	1 ლ	29.95	29.95
3	ფილტრი ზეთის	1 ც	25.00	25.00
4	ბერკეტის მილისა უკანა	2 ც	45.00	90.00
5	ბერკეტის მილისა წინა	2 ც	40.00	80.00
6	ამორტიზატორის საყრდენი	2 ც	90.00	180.00
7	ამორტიზატორის საყრდენის საკისარი	2 ც	45.00	90.00
	ჩასატარებელი სამუშოები			
1	ბერკეტის მილისა უკანა	2		40
2	ბერკეტის მილისა წინა	2		40
3	ამორტიზატორის საყრდენის შეცვლა	2		70
4	ამორტიზატორის საყრდენის საკისარის შეცვლა	2		
	ჯამი			755,75

ავტომანქანა SKODA OCTAVIA, სახელმწიფო ნომრით AA 896 BB
VIN: TMBAD4NE0D0017469

N	სათადარიგო ნაწილის დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ღირებულება სულ
1	სტაბ.კრონშტეინი წინა	1 ც	45.00	45.00
2	ფილტრი ზეთის	1 ც	25.00	25.00
3	ზეთი ძრავის შელი 5W30 HelixUltraExtra 4L	4 ლ	27.70	110.80
4	ზეთი ძრავის შელი 5W30 HelixUltraExtra 1L	1 ლ	29.95	29.95
	ჩასატარებელი სამუშოები			
1	სტაბ.კრონშტეინი წინას შეცვლა	1		15
	ჯამი			225,75

ავტომანქანა SKODA OCTAVIA, სახელმწიფო ნომრით OO 313 ZZ
VIN: TMBAD4NE3D0041359

N	სათადარიგო ნაწილის დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ღირებულება სულ
1	ზეთი ძრავის შელი 5W30 HelixUltraExtra 4L	4 ლ	27.70	110.80
2	ზეთი ძრავის შელი 5W30 HelixUltraExtra 1L	1 ლ	29.95	29.95
3	ფილტრი ზეთის	1 ც	25.00	25.00

4	სამუხრუჭე ხუნდი წინა	1 ც	140.00	140.00
5	სამუხრუჭე ხუნდი უკანა	1 ც	165.00	165.00
	ჩასატარებელი სამუშოები			
1	სამუხრუჭე ხუნდი წინას შეცვლა	1		15
2	სამუხრუჭე ხუნდი უკანას შეცვლა	1		15
	ჯამი			**500,75**

„მიმწოდებელი“ - შ.პ.ს. “თეგეტა მოტორსი“

გენ. დირექტორის მინდობილი პირი: /დავით ხურცია/

TEGETA MOTORS 9

TEGETA
HOLDING COMPANY

დანართი N2

საგარანტიო ვადები და პირობები

შეცვლილ სათადარიგო ნაწილებზე და გაწეულ მომსახურებაზე გარანტია ვრცელდება 6 თვე;

აღნიშნული გარანტია ვრცელდება ავტომობილის ტექნიკური რეგლამენტის გათვალისწინებით.

საგარანტიო ვადა/მომსახურება არ ვრცელდება ცვეთად ნაწილებზე, კერძოდ, გახურების ნათურები, ანთების სანთლები, გახურების სანთლები, დამცველები, სამუხრუჭე ხუნდები, გადაბმულობის ამყოლი და მიმყოლი რგოლები (ფრიქციონები), ზეთის, კონდიციონერის, ჰაერისა და საწვავის ფილტრები, მინის მრეცხავები, ანთების საკონტაქტო ერთეულები და მტვერდამცავები (პილნიკები) და იმ შემთხვევებში, როდესაც დაზიანება გამოწვეულია არასწორი ექსპლუატაციით გამოწვეულ დაზიანებებზე, კერძოდ, გარეგანი მექანიკური ზემოქმედებით გამოწვეულ დაზიანებებზე.

შპს „თეგეტა მოტორსი"-ს

გენ. დირექტორის მინდობილი პირი

TEGETA MOTORS

დავით ხურცია